# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.698)

12-19 სექტემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# რთველი -2015 დაიწყო



რთვლის ორგანიზებულად ჩასატარებლად და ყურძნის მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და რთვლის საორგანიზაციო შტაბის თანამშრომლები სოფელ სამთაწყაროსა და ფიროსმანის მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივ გლეხებს გააცნეს რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს, რთველი 2015-ის ფარგლებში, 1 კგ რქაწითელზე - 35 თეთრის, ხოლო 1 კგ საფერავზე - 15 თეთრის ოდენობის სუბსიდიის გაცემას. აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით, ყურძნის სუბსიდიის ნიშნული არ შემცირებულა. ამავე დროს, სახელმწიფო მზად არის მინიმალური საგარანტიო პირობები შექმნას და ყურძნის იმ ჭარბი რაოდენობის ჩაბარება უზრუნველყოს, რომელსაც კერძო კომპანიები არ მიიღებენ.

,,ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის გარემოება, რომელიც დღეს გვაქვს. 2014 წელს ღვინის ექსპორტი იყო მზარდი, მაგრამ გასული წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა რეალობა იმ საექსპორტო ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინო მოთხოვნადია. სახელმწიფო ითვალისწინებს მევენახეობის უმნიშვნელოვანეს როლს სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს მათი ხელშეწყობისთვის. ისევე, როგორც შარშან, წელსაც რთველი ორგანიზებულად ჩაივლის, შესაბამისად, ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება. გლეხი შეძლებს საკუთარი მოსავლის მომგებიანად რეალიზებას."- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

კახეთში რთველი დაიწყო. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოში აცხადებენ, სახელმწიფო, დაპირებისამებრ, 10 სექტემბრიდან ყურძნის შესყიდვას დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებიდან იწყებს.

ამ ეტაპზე 4 ღვინის საწარმო - დედოფლისწყაროში, დაბა წნორში, გურჯაანში და გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში სრულ მზადყოფნაშია დაიწყოს ყურძნის გადამუშავება.

რთველში ეტაპობრივად კახეთის რეგიონის სხვა რაიონებიც ჩაერთვება, რასაც შესაბამისად სხვა სახელმწიფო ღვინის საწარმოების გახსნა მოჰყვება.

სახელმწიფო მწიფე (კონდიციურ) 1 კგ რქაწითელში და მწვანეში გადაიხდის 25 თეთრს, რასაც ემატება ასევე სახელმწიფო სუბსიდია 35 თეთრი, რაც ჯამში 60 თეთრს შეადგენს. ასევე, 1 კგ საფერავში მევენახეს სახელმწიფო გადაუხდის 60 თეთრს, რაც სუბსიდიის ჩათვლით მიაღწევს 75 თეთრს.

აღნიშნულის შესახებ დეტალურად ინფორმირებულია დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და მოსახლეობას დეტალების დასაზუსტებლად შეუძლია მიმართონ მათ - თუ რომელ საწარმოში რომელი ჯიშის ყურძენი შეუძლიათ ჩააბარონ.

9 სექტემბრისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 56 ღვინის კომპანია, რომლებიც ყურძნის სიმწიფეში შესვლისთანავე აქტიურად დაიწყებენ მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვას.

ამასთან ერთად, მევენახეს შეუძლია საკუთარი ყურძენი კერძო კომპანიებსაც ჩააბარონ. რამდენიმე კერძო ღვინის კომპანიამ უკვე შეისყიდა მოსახლეობისგან ყურძენი.

რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ცხელ ხაზზე - 2 47 01 01, ან ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.georgianwine.gov.ge

მიმდინარე წელს, მიუხედავად აგვისტოში მომხდარი სტიქიით მიყენებული ზარალისა, შარშანდელთან შედარებით ყურძნის უხვი მოსავალია. ხელისუფლებას აქვს სრული მზაობა და გაწერილი გეგმა, რათა წლევანდელმა რთველმაც ორგანიზებულად ჩაიაროს და მოსავალის რეალიზაცია-დაბინავების პრობლემა არც ერთ მევენახეს არ შეექმნას.

გაზეთ "შირაქის" ინფორმაციით, 11 სექტემბერს სოფლებში: სამთაწყაროსა და ფიროსმანში ყურძნის ჩაბარება უკვე დაიწყო. მანქანები პროდუქციით იტვირთება და შესაბამის ღვინის ქარხნებში ბარდება. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მევენახეებს არც ყურძნის რეალიზაციისა და არც თანხის მიღების საკითხში პრობლემა არ შეექმნებათ.

ინგა შიოლაშვილი

# ,,ქართველი კაცისთვის ვაზის გაჩეხვა თუ ასეთი ადვილია, ის ვაზს ნამდვილად არ იმსახურებს"...

„რთველი 2015"-ის დაწყებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბრიფინგი გამართა. ოთარ დანელია ბოლო დღეებში კახეთში განვითარებულ პროცესებს და მევენახეების პროტესტს გამოეხმაურა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა.

მინისტრმა რამდენიმე სიტყვით შარშანდელი რთველი და ის ღონისძიებები მიმოიხილა, რომელიც სახელმწიფომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით გაატარა.

„შარშან, რთველის შედეგად, მხოლოდ კახეთის რეგიონში, დაახლოებით 170 მილიონი ლარი შევიდა; დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა, რომელშიც სახელმწიფომ 14 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა. საერთო ჯამში, სეტყვის 30-ზე მეტი პრევენცია მოხდა. სუბსიდია განხორციელდა აგროდაზღვევისთვის, სადაც საერთო ჯამში 182 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების აგრორისკია დაზღვეული; მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობისთვის 150 მილიონამდე ლარის სესხი, ხოლო ღვინის ექსპორტიორ კომპანიებზე 40 მილიონამდე დოლარის სესხია გაცემული.

მინისტრმა საგანგებო ბრიფინგზე სახელმწიფოს მიერ დივერსიფიკაციის მიმართულებით გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგებზე ისაუბრა.

„სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ღვინის ექსპორტი გაზრდილია ისეთ ბაზრებზე, როგორებიცაა ყაზახეთი 68%, პოლონეთი 85%, ჩინეთი 107%, ლატვია 50%, ესტონეთი 35%, დიდი ბრიტანეთი 46%, იაპონია 110% - ეს გახლავთ 2011-14 წლების შედარება.

2012 წლამდე, წლების მანძილზე, სულ ორ მილიონ ლარამდე იქნა დახარჯული ღვინის ხელშწყობის, რეკლამირებისა და მარკეტინგის მიმართულებით. მხოლოდ 2014 წელს, ჩვენ ხუთი მილიონი ლარი ავითვისეთ ამ მიმართულებით, საიდანაც დახარჯული თანხების 99% -ში არ შედის დსთ-ს ქვეყნებსა და, მათ შორის, არც ერთი ლარი რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის გაწეული ხარჯი.

რაც შეეხება 2015 წლის რთველთან დაკავშირებით, პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ხშირ შემთხვევაში რეალობა არ შეესაბამება მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციებს.

მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ არ ვგეგმავდით რთველის სუბსიდირებას. ბაზრებზე შემცირებული მოთხოვნის გამო გადავწყვიტეთ სუბსიდიის გაცემა - ეს გახლავთ 35 თეთრი თეთრი ყურძნის შემთხვევაში და 15 თეთრი შავი ყურძნის შემთხვევაში და ეს ფასი არ გადაიხედება. საერთო ჯამში, მინიმუმ, 30 მილიონი ლარი დაუჯდება სახელმწიფოს ყურძნის სუბსიდირებსი პროგრამა.

(გაგრძელება გვ.3)

## ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!



გვ.5

## კურიოზული ქურდობა ,,სილქნეტში"

გვ.4

## ,,მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია"...



გვ.6

## სახალისო ფეხბურთის ღია გაკვეთილი



გვ.8

C M Y K

## ირაკლი ღარიბაშვილი - მიუხედავად რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური სისტემებისა, ჩინეთს და საქართველოს საერთო ინტერესი გვაქვს, რომელიც ეკონომიკაზე გადის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპარტამენტის მინისტრს, ვანგ ძიარუის შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მისასალმებელ სიტყვაში მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მოხარულია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებით, რომელიც უფრო დინამიური გახდა ბოლო ორი წლის მანძილზე.

"მიუხედავად რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური სისტემებისა, ჩინეთს და საქართველოს საერთო ინტერესი გვაქვს, რომელიც ეკონომიკაზე გადის", -განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო უნდა გახდეს ეკონომიკური და პოლიტიკური მოლაპარაკებების, მშვიდობის ადგილი ევროპისა და აზიისათვის.

მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი ოფიციალურ საუზმეზეც გაგრძელდა, რომელიც ჩინეთის მმართველი პარტიის საერთაშორისო დეპარტამენტის მინისტრმა, ვანგ ძიარუიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად გამართა.

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამუშაო ვიზიტი ევროპაში გრძელდება

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პოლონეთის თავდაცვის მინისტრის შემდეგ, თინათინ ხიდაშელს ლატვიელმა კოლეგამ უმასპინძლა. თავდაცვის მინისტრმა რაიმონდს ბერგმანისს ლატვიის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა.

შეხვედრაზე კოლეგებმა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის აქტუალური საკითხებსა და საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ასევე განხილული იყო საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების გზაზე ლატვიის მონაწილეობის მნიშვნელობაც. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე ერთიანი ევროპული მხარდაჭერის მნიშვნელობა და ნატო-ს 2016 წლის ვარშავის სამიტის შედეგები იყო.

როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ლატვიელ კოლეგას დეტალურად გააცნო საქართველოში და ზოგადად, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოს გამოწვევები და ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის ხელშესახები შედეგების მნიშვნელობა.

ლატვია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. როგორც თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, რაიმონდს ბერგმანისისგან დაპირება მიიღო, რომ ლატვია ვარშავის სამიტამდეც და სამიტის შემდეგაც ოფიციალური თბილისის აქტიური მხარდამჭერი იქნება, როგორც ორმხრივ ისე, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მრავალმხრივ ფორმატებში. სრული მხარდაჭერა მიიღო თავდაცვის მინისტრმა ლატვიის პარლამენტის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და კორუფციის პრევენციის კომიტეტის თავმჯდომარესთან აინარს ლატკოვსკისთან შეხვედრაზეც.

როგორც თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, საქართველო-ლატვიის ორმხრივი ურთიერთობი კვლავ აქტიურად გაგრძელდება.

"ლატვია თანამონაწილეა საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების და ერთობლივი სწავლებების. ასევე, აქტიურად გაგრძელდება და კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს ეს ურთიერთობები. JTEC-ის წარმატებით განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ნატოს წევრი ქვეყნების თანამონაწილეობა და ლატვია ამ მიმართულებით ჩვენი პარტნიორია. მინისტრმა ისაუბრა საჩხერის ბაზაზე მიმდინარე წვრთნებზე, სადაც მათ შორის ლატვიელი ჯარისკაცებიც იღებენ მონაწილეობას. ამ ზაფხულსაც ვმასპინძლობდით მათ. JTEC-ის პირობებში ეს შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება და მხოლოდ საჩხერით არ შემოიფარგლება. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის ის მიმართულებები, რაზეც ხშირად ვსაუბრობთ - რაც შეიძლება მეტი ნატო-ს ჯარისკაცი საქართველოში",- განაცხადა ხიდაშელმა.

შეხვედრის დაწყებამდე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლატვიის პირველი დამოუკიდებელი ბატალიონის და გმირის ოსკარ კალპაკსის მემორიალი გვირგვინით შეამკო.

## თელავსა და თბილისში ვაკანსიების კვირეული ჩატარდება, რეგისტრაცია 14 სექტემბრიდან დაიწყება

21 სექტემბრიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტი ვაკანსიების კვირეულს მართავს. კვირეულის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობა ეძლევათ უშუალოდ გაესაუბრონ პოტენციურ დამსაქმებლებს კონკრეტულ ვაკანსიასთან დაკავშირებით. კვირეული თბილისსა და თელავში ჩატარდება.

მასში მონაწილეობის მისაღებად სამუშაოს მაძიებლები, პირველ რიგში რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ დასაქმების პორტალზე www.worknet.gov.ge, ხოლო უშუალოდ ვაკანსიების კვირეულში მონაწილეობის მისაღებად უნდა ეწვიონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდს - www.ssa.gov.ge -ს, შემდეგ კი სპეციალური ბანერის მეშვეობით დარეგისტრირდებიან ვაკანსიების კვირეულზე.

რეგისტრაცია ორშაბათს, 14 სექტემბერს დაიწყება და ერთ კვირას გასტანს. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, პროგრამა სამუშაოს მაძიებლებისთვის გასცემს კვირეულზე დასასწრებ სარეგისტრაციო ბარათს. პირმა უნდა დაბეჭდოს ბარათი და მასზე მითითებული იქნება კონკრეტული პირისთვის გასაუბრებაზე მისვლის დრო და ადგილი. გასაუბრებაზე მისვლისას პირმა თან უნდა იქონიოს სარეგისტრაციო ბარათი, პირადობის მოწმობა, ასევე CV-ის რამდენიმე ეგზემპლიარი. ყველა პირი კვირეულზე უნდა გამოცხადდეს მისთვის განკუთვნილ დროზე. ვაკანსიების კვირეულისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პორტალს - worknet.gov.ge-ს, უკვე აქვს 500-მდე ვაკანსია თბილისსა და კახეთში 60 კომპანიიდან.

## უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების კურსები განხორციელდება

ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლასა და ინტეგრაციაში დახმარების მიზნით იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობისა და მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრების პერსონალისათვის ქართული ენის სწავლების სპეციალური კურსები დაიგეგმება.

დოკუმენტი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან" ერთად შეიმუშავებს, დაგეგმავს და განახორციელებს სწავლების ისეთ სისტემას, რომელიც დაეხმარება ეროვნული უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრაციას ქართულენოვან საზოგადოებასთან. ამასთან, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით ქართული ენის სწავლების კურსები ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცენტრებში კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის მომსახურების მიწოდებას.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მემორანდუმს საფუძველი ფოკის საზოგადოებრივ ცენტრში წარმატებით განხორციელებული პროექტის შემდეგ ჩაეყარა, სადაც იუსტიციის მინისტრის ინიციატივით ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართული ენის სწავლების დისტანციური კურსი.

## გარდაიცვალა ქართველი მწერალი რეზო ჭეიშვილი

82 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მწერალი, დრამატურგი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ (რეზო) ჭეიშვილი. რეზო ჭეიშვილმა პირველი მოთხრობები სტუდენტობისას ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკარში" გამოაქვეყნა. 1961 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ-ფილმში" რედაქტორად, სასცენარო კოლეგიის წევრად, შემოქმედებითი გაერთიანების წევრად და ერთ-ერთ ხელმძღვანელად, პარალელურად მოღვაწეობდა ჟურნალებში, „ცისკარი", „საუნჯე".

რეზო ჭეიშვილი ასევე იყო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, გაზეთ „მოწამეთისა" და ჟურნალ „მწვანე ყვავილის" რედაქტორი. იგი არის რამდენიმე მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის („მზიანეთი", „ზღვის მგელი", „ავტოპორტრეტი", „ფედია", „ჩემი მეგობარი ნოდარი", „გამოაღეთ ფანჯრები", „გათენების წინ", „ჭიდაობას რა უნდა", „ექსპრეს - ინფორმაცია") სცენარის ავტორი. მიღებული აქვს რუსთაველის პრემია.

1992 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის მდივნად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 2000 წლიდან საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე გახლდათ. 1992-1995 წლებში აირჩიეს მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატად

## 11 სექტემბერი - კრწანისის ბრძოლა

2015 წლის 11 სექტემბერს 220 წელი გავა კრწანისის ბრძოლიდან, სადაც ქართული ჯარი ერეკლე მეფის ხელმძღვანელობით დამარცხდა სპარსეთის არმიასთან რამდენიმე დღიან ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეულად თითქმის არასდროს აღგვინიშნავს კრწანისის ბრძოლის წლისთავი, აღნიშნული ბრძოლა ითვლება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ბრძოლაში დამარცხებამ ძალიან დაასუსტა აღმოსავლეთ საქართველო, რითაც რუსეთს ქართლ-კახეთის დაპყრობა გაუიოლა.

წლები, რომელიც საქართველომ ერეკლე მეფის დროს კრწანისის ბრძოლამდე გამოიარა იყო რთული, მაგრამ არ იყო კატასტროფის მომასწავებელი. მდგომარეობა მაშინ დამძიმდა, როდესაც რუსული სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ საქართველოში „ქართველების დასახმარებლად" ტოტლებენის და სხვა გენერლების ხელმძღვანელობით. რუსული ჯარის შემოყვანამ გაართულა მეზობლებთან ურთიერთობა. რუსები ძირითადად პროვოკაციებით იყვნენ დაკავებულები, მაგალითად, სცადეს ერეკლე მეფის ტახტიდან ჩამოგდება, ასპინძასთან ბრძოლაში მიატოვეს ქართველები და ა. შ. მიუხედავად ამისა, 1783 წელს ქართლ-კახეთმა გააფორმა „გეორგიევსკის ტრაქტატი" რუსეთთან. ტრაქტატით ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. თუმცა რუსული ჯარი, რომელიც საქართველოში პერმანენტულად უნდა მდგარიყო, მალევე გავიდა ქვეყნიდან და საქართველო მოწინააღმდეგეების წინაშე მარტო დარჩა.

ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან (განსაკუთრებით სპარსეთთან და ოსმალეთთან) გართულებული ურთიერთობის საპირწონე რუსული სამხედრო დახმარება იქნებოდა, რის ვალდებულებაც რუსეთს აღებული ჰქონდა გეორგიევსკის ტრაქტატით.

მოვლენები განსხვავებულად განვითარდა. რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ გამოიწვია ომი სპარსეთთან, ხოლო რუსეთი საქართველოს არ დაეხმარა.

კრწანისის ბრძოლაში ქართველების დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიამ გამოგზავნა სამხედრო შენაერთები საქართველოში, თუმცა მალევე გაიყვანა. სპარსეთის შაჰის აღამაჰმადის მოწოდებას, რომ ქართველებს რუსეთთან კავშირი გაეწყვიტათ, ქართლ-კახეთმა უარით უპასუხა. შედეგად, აღამაჰმადმა გადაწყვიტა საქართველოს მეორედ დალაშქვრა, თუმცა ის შეთქმულებმა მოკლეს და საქართველო მეორედ აოხრებას გადარჩა.

მსგავსი, თუმცა გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის კატასტროფა ქართლ-კახეთმა შაჰ-აბასის დრო იწვნია, როდესაც ქართლი ააოხრეს, ხოლო კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ან დახოცეს ან გადაასახლეს ირანში, სადაც დღემდე ცხოვრობენ მათი შთამომავლები ფერეიდანში.

თუ ისტორიიდან გავიხსენებთ, შაჰ-აბასის შემოსევას წინ უძღოდა კახეთის მეფის მიერ ფიცის წიგნის დადება რუსეთთან (1587 წელი), სადაც კახეთი თავს სცნობდა რუსეთის ქვეშევრდომად, ხოლო სანაცვლოდ რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ დაეცვა კახეთი გარეშე მტრებისგან. გარკვეული ხნის განმავლობაში რუსული სამხედრო ნაწილები კავკასიის ციხეებში იყვნენ გარნიზონებად ჩამდგარი, თუმცა მალევე დატოვეს რეგიონი. რუსეთთან ფიცის წიგნის გაფორმების შემდეგ სპარსეთის შაჰმა აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში და აღმოსავლეთ საქართველოს ეს კუთხე მიწასთან გაასწორა. რუსეთს არ შეუსრულებია სამხედრო დახმარების ვალდებულება.

როგორც საქართველოს ისტორიიდან ჩანს, ფიცის წიგნით და გეორგიევსკის ტრაქტატით აღებული ვალდებულებები რუსეთმა დაარღვია, რადგან სინამდვილეში საქართველოს დამხარება მათ არასდროს უნდოდათ. მათი მიზანი ქვეყნის შემდგომი დასუსტება იყო, იმისათვის, რომ უფრო ადვილად დაეპყროთ საქართველო. ეს პოლიტიკა ჰქონდათ მე-16 საუკუნეში, ეს პოლიტიკა ჰქონდათ მე-18 საუკუნეში და იმავეს აგრძელებენ დღესაც.

აკაკი ბაქრაძის სტატიაში „ბაბაიას დიპლომატია", ავტორი აღნიშნავს, რომ ანდაზა „დათვი, რომ მოგერიოს ბაბაია დაუძახეო" გვიან არის დამკვიდრებული საქართველოში. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ჩვენი ქვეყნის ისტორია და მათ შორის კრწანისის ბრძოლაც ცხადყოფს, სადაც რიცხობრივად 7-ჯერ უფრო მეტ მოწინააღმდეგეს ქართველებმა თანასწორი ბრძოლა გაუმართეს. ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა მოწინააღმდეგე არც „დათვად" ჩათვალა და არც „ბაბაია" დაუძახია, დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატარა, გადაწყვეტილება მიიღო, რომ ეომა და ბოლომდე იბრძოლა კიდეც. დამარცხდნენ, მაგრამ იბრძოლეს ისე, როგორც თვითმყოფადი ერის შვილებმა.

ამიტომ არის კრწანისის ბრძოლა მნიშვნელოვანი. ეს არა მხოლოდ გმირობის, არამედ ქართული, დამოუკიდებლობის მოყვარე ხასიათის გამოვლინების ერთერთი ბოლო მაგალითია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. კრწანისის ბრძოლის შემდეგ რუსეთმა დიდი ხნის წინ დაწყებული სცენარი დაასრულა, საქართველო დაიპყრო და ჩვენს წარმოდგენაში დიდი ხნით დარჩა „ბაბაიას დიპლომატია".

## აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს იხსენებენ

დღეს აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მე-14 წლისთავს აღნიშნავენ. 2001 წლის 11 სექტემბერს თვითმკვლელმა-ტერორისტებმა 4 თვითმფრინავი გაიტაცეს. მათგან ორი ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენებს შეეჯახა, ერთი - პენტაგონის შენობას, ერთი კი, რომელიც ვაშინგტონისკენ მიფრინავდა, პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა.

საერთო ჯამში, 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

2001 წლის 11 სექტემბრის გასახსენებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებია დაგეგმილი. დღეს დილით პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, პირველმა ლედიმ და თეთრი სახლის თანამშრომლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა სხოვნას. მოგვიანებით პრეზიდენტი სამხედროებს შეხვდა და მათთან ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები განიხილა.

# რა უნდა პაატა ბურჭულაძეს ქართულ პოლიტიკაში?!

***რამდენიმე თვეში გაირკვევა, როგორი იქნება მსოფლიო ბანის ახალი პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში...***

"თუ ოდესმე პოლიტიკაში მოსვლას დავაპირებ, აუცილებლად მივალ უწმინდესთან და ვიდრე მის ლოცვა-კურთხევას არ მივიღებ, არაფერს გადავწყვეტ", - ეს განცხადება მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა, ქველმოქმედმა პაატა ბურჭულაძემ ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა. მანვე ბრძანა: "ყოველთვის მთავაზობდნენ, პოლიტიკაში მოვსულიყავი... უარს ვამბობდი, რადგან სხვა მიზნები მქონდა. არც არასდროს მინანია. თუმცა, არ ვამბობ, რომ ეს არასდროს მოხდება! **თუ საჭირო იქნება და ვიგრძნობ, რომ სხვა ამპლუაში ვჭირდები ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამ ამ ნაბიჯს! ამას ყველა ლიდერი მთხოვდა, ზვიად გამსახურდიათი დაწყებული... რომ მცოდნოდა, ნამდვილად წავადგებოდი ქვეყანას, აუცილებლად დავთანხმდებოდი. მიმაჩნდა, რომ სხვა საქმეებით უფრო გამოვადგებოდი ჩვენს საზოგადოებას". კითხვაზე, მისთვის პატრიარქს თუ უთხოვია პოლიტიკაში მოსვლა, პაატა ბურჭულაძემ უპასუხა: - "არასოდეს! პატრიარქი არავის სთხოვს ამას".**

მოკლედ, მის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან უკვე კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკაში მოსვლას მსოფლიო ბანი კატეგორიულად არ გამორიცხავს, ამ ორიოდე დღის წინ კი ქართული მედია კიდევ ერთხელ ალაპარაკდა იმაზე, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს შემოდგომისთვის გადადგამს. მეტიც, პაატა ბურჭულაძე უკვე რეგიონებში აქტიურობს და მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება.

შეგახსენებთ, საოპერო მომღერალი წლებია **ქველმოქმედებითაა დაკავებული. "ერთად გადავარჩინოთ მომავალი" - ამ მოწოდებით 2004 წელს პაატა ბურჭულაძემ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "იავნანა" დააარსა, რომლის მთავარ იდეად ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფა გამოცხადდა. წლების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ბურჭულაძე საპატრიარქოს სრული მხარდაჭერით სარგებლობდა და ეკლესიის ფავორიტი იყო.**

მართალია, საქართველო ოფიციალურად სეკულარი



სახელმწიფოა, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ეკლესიის როლი მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა. მეტიც, ხშირ შემთხვევაში სასულიერო პირების ნაწილის სურვილი ჩაერიონ და გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმდენად დიდია, რომ ისინი წმინდა სინოდის დადგენილებასაც კი უგულვებელყოფენ, რომელიც ეკლესიის მსახურებს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას უკრძალავს. თავის მხრივ, არც პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები იხევენ უკან რელიგიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებისგან. ქართული საზოგადოება ამის მაგალითებს თითქმის ყოველ კვირას საკუთარი თვალით ხედავს, როდესაც დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების ლიდერები მისი უწმინდესობის, ილია მეორის ქადაგებებს საკუთარი ინტერპრეტაციით აწვდიან საზოგადოებას და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ამ გზით ცდილობენ.

მოკლედ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლა საპატრიარქოს გარკვეული ჯგუფის პოლიტიკურ პროცესებში ლეგალურად ჩართვის ამბიციებს უკავშირდებოდეს, მითუმეტეს, რომ დიდი ხანია პოლიტიკურ ველზე ავტორიტეტიანი მოთამაშეების მკვეთრი დეფიციტია. გარკვეული ჯგუფის, რადგან საპატრიარქოს სახელით გავრცელებული განცხადების შემდეგ ჩანს, რომ მსოფლიო ბანს სრული მხარდაჭერა საპატრიარქოში არ აქვს. ღვთისმშობლის კვართის დადიანების ისტორიული მუზეუმიდან შესაძლო გატანაზე საქართველოს საპატრიარქოში ოფიციალური განცხადება გაკეთდა - "ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ ზუგდიდელებთან ახლახანს გაკეთებულმა შეთავაზებამ ზუგდიდის მუზეუმში დაცული ღვთისმშობლის კვართის თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში, ა.წ. 21 სექტემბერს ჩამობრძანების შესახებ, ამ სიწმინდესთან მიმართებაში არსებული ისედაც დაძაბული ვითარება უფრო გაამწვავა, რადგან საზოგადოების ნაწილმა ეს ნათქვამი საქართველოს საპატრიარქოსთან დააკავშირა. ვაცხადებთ, რომ ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ გახმოვანებული ზემოაღნიშნული აზრი არის მისი იდეა. ასეთ თემებზე კი ეკლესიასთან შეუთანხმებლად მსჯელობა დაუშვებელად და მიუღებელად მიგვაჩნია," - აღნიშნულია განცხადებაში.

ერთ-ერთი ვერსიით, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა ბიძინა ივანიშვილის სურვილია. მომავალი არჩევნებისთვის "ქართულმა ოცნებამ" საკუთარ რიგებში ახალი სახელების გამოჩენაზე ზრუნვა უკვე დაიწყო, ამით პარტიისა და მთელი კოალიციის აშკარად შემცირებული მხარდამჭერების კვლავ შემოკრებას შეეცდებიან.

გარდა ამისა, კვლავ გააქტიურდა ლაპარაკი, რომ პაატა ბურჭულაძესთან ერთად, პოლიტიკაში შესაძლოა ბიზნესმენი ლევან ვასაძეზეც ვიხილოთ - მართალია, ეს უკანასკნელი წლებია იმეორებს, რომ პოლიტიკაში მოსვლას არ გეგმავს, თუმცა საბოლოოდ, ანალოგიურად მოსაუბრე ბიზნესმენი ქართველ ამომრჩეველს საარჩევნო სიის სათავეში არაერთხელ უნახავს!

**აღსანიშნავია ისიც, რომ ბურჭულაძის ვინაობამ პოლიტიკაში 2013 წელსაც გაიჟღერა, როდესაც "ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ის პარტიის პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატად დაასახელა. როგორც ითქვა, მომღერალმა მაშინ "ქართულ ოცნებასთან" დაპირისპირებისგან თავი შეიკავა, თავად ჯონდი ბაღათურია კი მალევე პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალასთან - ნინო ბურჯანაძის ალიანსში აღმოჩნდა.** სხვათა შორის, რუსეთისადმი სიმპათია ბურჭულაძესაც არ დაუმალავს. მეტიც, ერთ-ერთ ინტერვიუში მან ისიც განაცხადა, რომ მსოფლიოში მაყურებლის წინაშე ხშირად რუს ბანად წარადგენენ, რაც მას თურმე სიამაყის განცდას გვრის: "ქართველებს რუს ხალხზე უფრო ახლობელი ერი არ ჰყავთ, დაწყებული რწმენით და დამთავრებული მენტალობით. როგორ შემიძლია, მე თავს არ ვთვლიდე საბჭოთა ადამიანად, თუკი მე გავიზარდე სსრ კავშირში? მე ვის წარმოვადგენ? მე წარმოვადგენ რუსულ საოპერო სკოლას, რომელიც ძველებულად ძლიერ ფუნდამენტზე დგას. მთელს მსოფლიოში წარმადგენენ, როგორც რუსულ ბანს და მე ამით ვამაყობ".

ასე რომ, ვერ გამოვრიცხავთ ვერსიას, რომ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლას, არა მხოლოდ საპატრიარქოს პოლიტიკურად ანგაჟირებული ნაწილი, არამედ საქართველოში ბოლო ხანს ასე გააქტიურებული სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალებიც ცდილობდნენ.

მოკლედ, მიიღო თუ არა პაატა ბურჭულაძემ უკვე პატრიარქისგან ლოცვა-კურთხევა და მიდის თუ არა ნამდვილად პოლიტიკაში, ჯერ უცნობია, თუმცა უკვე რამდენიმე თვეში გაირკვევა, როგორი იქნება მსოფლიო ბანის ახალი პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში...

რამდენიმე თვეში გაირკვევა ისიც, რამდენად მძლავრი დასაყრდენი ექნება მას ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე და მსოფლიო დონის ბარიტონების შემდეგ ვინ იქნებიან მისი პარტნიორები... მოკლედ, ქართულ საზოგადოებაში ბევრი კითხვისნიშანი არსებობს, რომლებზე პასუხის გაცემაც მხოლოდ დროს შეუძლია.

# „ქართველი კაცისთვის ვაზის გაჩეხვა თუ ასეთი ადვილია, ის ვაზს ნამდვილად არ იმსახურებს"...

(პირველი გვერდიდან)

ამ გადაწყვეტილების გამო ჩვენ კრიტიკის ობიექტები გავხდით, ვინაიდან საზოგადოების გარკვეული ნაწილი სუბსიდირების წინააღმდეგი იყო.

რაც შეეხება ორგანიზაციულ საკითხებს, რთველის საორგანიზაციო შტაბი შექმნილია; მუშაობს ცხელი ხაზი. ამ დღეებში იწყება რთველის აქტიური ფაზა. დღეის მონაცემებით, ოთხი ათას ტონამდე ყურძენია ჩაბარებული.

მინდა მოგახსენოთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მეღვინეობის ხელშესწყობის ღონისძიებები. სიღნაღსა და დედოფლისწყაროში ვგეგმავთ კოოპერატივების გაკეთებას, დარჩელში თხილის კოოპერატივის ანალოგიურს. ამ ტიპის კოოპერატივებში გლეხებსა და ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი ყურძნისგან მიიღონ საბოლოო პროდუქტი და მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური მოგება ნახონ.

მინდა მოგახსენოთ, რომ ფასებთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ დავაფიქსიროთ და ბაზარს ფასი არ ვუკარნახოთ. ნებისმიერი ფასი, რომელსაც სახელმწიფო დააფიქსირებს, გახლავთ მხოლოდ საბაზრო ფასიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ყურძნის რეალიზაციას, სახელმწიფო ჩაიბრებს ყურძნის იმ ჭარბ რაოდენობას, რომელსაც კერძო სექტორი არ ჩაიბარებს. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ფასი იქნება 60 თეთრი და შავი ყურძნის შემთხევაში, საფერავზეა საუბარი, 85 თეთრი. ეს გახლავთ სახელმწიფოს მინიმალური ზღვრული ფასი.

გარდა ამისა არსებობს აგრარული ბაზრები, სადაც კილოგრამი ყურძენი 1 ლარზე იაფი არ არის. ყველა რეგიონში არის სპეციალურად მოწყობილი ყურძნის სარეალიზაციო ადგილები. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ქვეყანაში სახლში გაკეთებული ღვინო გაცილებით უფრო ძვირფასია ვიდრე ქარხნის ღვინო და ბუნებრივია ჩვენ თუ გვაქვს პრეტენზია რომ ვართ ღვინის ქვეყანა, თუ გვაქვს პრეტენზია, რომ გვიყვარს ვაზი, მაშინ ალბათ კარგი იქნება, რომ ასეთი ტიპის წარმოებაზეც იფიქრონ ადამიანებმა.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის რომ, ერთი კილოგრამი ყურძენიც კი არ უნდა დარჩეს ჩაუბარებელი, მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი ჭარბია, მოთხოვნა კი შემცირებული.

სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, გლეხი წაგებული არ დარჩება და რომ, პრაქტიკულად, აღნიშნული ფასების პირობებში, ეს გახლავთ თითქმის 100-%-იანი მოგება.

დანელიას თქმით, კახეთში ყურძნის დაბალი ფასის გამო გამართული აქციები აჩენს ეჭვს, რომ პროცესები ხელოვნურად არის მართული.

„საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ პროცესები მართულია, რადგან ერთდროულად რამოდენიმე მიტინგის მოწყობა, ძალიან ორგანიზებულად ყველაფრის გაკეთება და ახალი ტრენდი - ვაზის გაჩეხვის მუქარები. ჩვენ ვართ ქართველები და ქართველი კაცისთვის ვაზის გაჩეხვა თუ ასეთი ადვილია, ის ვაზს ნამდვილად არ იმსახურებს. სპეკულაცია ამ თემით ძალიან მიუღებელია", - განაცხადა ოთარ დანელიამ.

დანელიას ინფორმაციით, ქარხნებს უკვე ჩაბარებული აქვთ 4 ათასი ტონა ყურძენი და პროცესი გრძელდება. მინისტრი მომდევნო დღეებში კიდევ უფრო მეტ აქტივობას ელოდება.

# დედო ზარი გიხმობთ!



14 სექტემბერი ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღია. დიდი თუ პატარა, ყველა განურჩევლად ასაკისა, გილისფანცქალით ელის ამ დღის დადგომას. სექტემბრის თვე ოდითგანვე ცოდნის დღესასწაულადაა მიჩნეული. როგორც დიდი ილია ამბობდა: „ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდებარა, თუ არ მოგემატება“.

მომავლმა თაობამ, სკოლის მოსწავლე იქნება თუ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, კარგად უნდა გაითავისოს ჭალადიდელის სიტყვები:

„იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,
დიდი განძია სწავლის შეძენა:

მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.“

სასურველია უცხო ენების შესწავლა. როგორც იტყვიან, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ, მაგრამ წრესგადასული არაფერია საჭირო, საფუძველთასაფუძველი ხომ დედა ენამშობლიური ენაა.

მახსენდება ჩემი ბავშვობა, იგი დიდი სამამულო ომსა და შემდგომ პერიოდს დაემთხვა. მაშინ სწავლა ყოველთვის პირველ სექტემბერს 9 საათზე იწყებოდა. პირველი სექტემბერი მთავრობის მიერ ცოდნის დღესასწაულად იყო გამოცხადებული. სოფელში არსებული საეკლესიო ზარი სწავლის დაწყებას გვამცნობდა.

საყურადღებოა ამ ზარის შემდგომი ისტორიაც. სოფელში სეჩი ზაპოროჟიედან რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველის მიერ გადმოსახლებული ურჩი კაზაკების მიერ აშენებული სკოლის ფიცრული შენობა 1941 წლის იანვარში დაიწვა.ბავშვები V-VII კლასელები, წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში გადაანაწილეს, დაწყებითი კლასის ბავშვები კი ეკლესიის შენობაში და სხვაგან მოათავსეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეკლესიას ფუნქციონირება შეაწყვეტინეს და საეკლესიო ზარი სკოლის კუთვნილება გახდა.

1950 წელს სოფელში აშენდა რვაწლიანი სკოლა და ზარიც მასთანაა.

1980 წელს აშენდა საშუალო სკოლის შენობა და ზარიც იქ მოთავსდა. ყოველ დილით, ცხრის ნახევარზე ირეკებოდა გამაფრთხილებელი ზარი, რითაც ბავშვებს სწავლის დაწყების დროს შეახსენებდა.

ეგული ყოჩიაშვილი

# გილოცავთ სანავლო წლის დაწყებას!

ახალი სასწავლო წელი დგება, ზარი ირეკება! გილოცავთ ყველას, დიდს და პატრას, ამ სიხარულს! განსაკუთრებით ვულოცავ ახალბედა მასწავლებლებსა და პირველკლასელებს, მათ მშობლებს, პაწიები კრძალვითა და რიდით, გაფართოებული თვალებით შეაღებენ კლასის კარებს და დაინახავენ პირველ მასწავლებელს...

რამდენი ძალისხმევაა საჭირო , ამ პატარებს გული უჩვენო, შენსკენ მოიზიდო და მათაც გულის კარი გაგიხსნან. მშობელი გენდობა, იმედი აქვს და გაუმართლე!

გამახსენდა 1962-63 წელი, როცა სკოლა-ინტერნატში განაწილებით მივედი. 30 აგვისტოს მასწავლებელთა კონფერენციაზე მაშინდელმა განათლების განყოფილების გამგე მარიამ ლაპიაშვილმა თქვა: მასწავლებელმა სკოლის ჭიშკართან უნდა დატოვოს ოჯახური პრობლემები, კლასში შევიდეს ნათელი გონებით, მომღიმარი სახით და მთელი გაკვეთილი დაუთმოს მათ სწავლა-აღზრდასო. მერე ტონი უფრო გაამკაცრა და განაგრძო:- ეს, განსაკუთრებით ეხება დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. მათ დასვენებაზეც კი ბავშვების ცხოვრებით უნდა იცხოვრონ-იცოდნენ, საით დარბიან, რას თამაშობენ, რაზე ჩხუბობენ...

ეს სიტყვები ჩემს თაობას ემახსოვრება და დამიჯერეთ, მთელი 48 წლის მანძილზე, განსაკუთრებით როცა პირველი კლასს ველოდებოდი, მახსენდებოდა, რომ მასწავლებელმა სკოლაში მხოლოდ ბავშვებზე უნდა იზრუნოს და პირადი ცხოვრება გვერდზე გადადოს. ყოველთვის ვფიქრობდი, ბავშვთან არაფერი შემეშალოს, უსამართლოდ არ მოვექცე, ის ხომ სულ პატარა არ იქნება, გაიზრდება და ცუდად გამიხსენებს- მეთქი.

დაწყებითი სწავლება ხომ ის ქვაკუთხედია, საძირკველია, რომელზეც შენობა უნდა იდგეს მყარად, ამიტომ დიდი მოვალეობა აქვს დაწყებითი კლასების მასწავლებელს.

ეს წერილი დამაწერინა იმ სიხარულმა, რაც განვიცადე 28 აგვისტოს, როცა ჩემი ყოფილი 1999-2000 სასწავლო წლის მეთერთმეტე ა კლასის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს სკოლის დამთავრებიდან 15 წლისთავი, (მათ 10 წლის თავიც აღნიშნეს) და მიგვიწვიეს:მე-პირველი მასწავლებელი, მაღალი კლასების ხელმძღვანელი ჯულიეტა(ქევსირი)პოპიაშვილი, რომელიც წლობით მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა მათ, სკოლის დირექტორი თენგიზ ტუხაშვილი,რომელიც ვინ იცის რამდენ ცელქობას პატიობდა მათ, რადგან სწავლაში ძლიერები და გამორჩეულად ჭკვიანები იყვნენ და მათი საყვარელი მასწავლებლები მიხეილ ბახუტაშვილი და ჯულიეტა გოგილაშვილი.

გუშინდელ დღესავით მახსოვს 36 ბავშვი რომ შემოიყვანეს კლასში. ზოგი მორცხვად დაჯდა მერხზე, ზოგი დედის კალთას ჩაჭიდებული, ცრემლიანი თვალებით მიყურებდა, ამაზე დიდი ბედნიერება რა იყო,36 წყვილი თვალი გვიყურებდა, გარეთ კი მშობლები გველოდებოდნენ.

ასე იყო ამ წელსაც N1 საჯარო სკოლაში. მარინა ინასარიძეთან 36 ბავშვი მივიდა. მისი მუშაობის ამსახველ მასალას (ღია გაკვეთილები და ღონისძიებები) ჩვენს გაზეთ „შირაქში“ ვკითხულობდი და ძალიან მიხაროდა. ყოჩაღ, ჩემო მარინა! და ისევ იმდღევანდელი დღე-28 აგვისტო...უკვე 32 წელს გადაცილებული ახალგაზრდები დაოჯახებულები (მეუღლესთან ერთად), ზოგი თანამდებობის პირი, გაზრდილები, დაფრთიანებულები, მყარად რომ დგანან საკუთარ ფეხზე, ისევ მეძახიან:ნათელა მასწავლებელო.... ლექსო ლეკიაშვილი, დათო ჯარიაშვილი, ლექსო ფხალაძე, დიმა პოპიაშვილი, ნიკა აბულაშვილი, თამაზ კოჭლამაზაშვილი, ნინო ჯანაშვილი, მაკა სეფიაშვილი, ხათუნა ჭუჭულაშვილი, მაია გურაშვილი, ნინო ფიროსმანაშვილი, ლევან ჩონგურაშვილი, გიორგი მჭედელაძე იხსენებდნენ პატარა წვრილმანებს, რომელიც მე აღარ მახსოვდა და ხალისობდნენ; ქევსირი მასწავლებელთან ხო მ მის შვილებად გრძნობენ თავს, რადგან თავისი შვილისგან არ არჩევდა,მან დაზარდა, დააფრთიანა.თენგიზ ტუხაშვილი სწორედ უგებდა მათ, თბილი ურთიერთობა ქონდათ, ჯულეტა გოგილაშვილი და მიხა ბახუტაშვილი ხომ თითქოს მათი თანატოლები იყვნენ.!

რა შეხვედრა, რა სიტყვები, რა მადლობები! ბევრჯერ მიფიქრია, ეს სულიერი საზრდო, სიმდიდრე ასგზის სჯობს იმ მატერიალურ კეთილდღეობას, თითოეული რომ ვიღწვით ყოველდღიურად და ზოგჯერ ბოლოში ვერც კი გავდივართ? მე ვისურვებდი ყველამ დაინახოს თავისი შრომის ფასი, ნურავის მოაკლდება ეს სიხარული.

დიდხანს გაგვყვება ეს განცდა, ჩემო კარგებო! მადლობა თქვენ, ასეთი სიამოვნებისთვის, ჩვენი დაფასებისთვის, ამ ლამაზი საღამოსთვის, ყველა და ყველაფერი დაგვავიწყეთ. ცხოვრებას ჩვეული ხალისით გავაგრძელებთ ასაკოვანი ხალხი, რადგან ვგრძნობთ, რომ საიმედო თაობა ხართ! იცით, საიდან მოდიხართ, „ვისი გორისა ხართ“ და სად არის თქვენი „ფესვები“.

ერთხელ კიდევ დიდი მადლობა და ყოველივე კარგს გისურვებთ, ყველასთვის სასიხარულო ახალგაზრდებო!

პატივისცემით, ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი, პენსიონერი პედაგოგი. სოფელი გამარჯვება.



# კურიოზული ქურდობა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული თეიმურაზ ქოქიაშვილი ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ღამით, ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე „სილქნეტის“ სერვისცენტრის საკეტი დააზიანა, შენობაში ფარულად შეაღწია

ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. მომხდარი ქურდობის შედეგად, კომპანია „სილქნეტმა“ 602 ლარის ოდენობით ზარალი მიიღო. მოპარულია სათვალთვალო ვიდეოკამერა, 13 ცალი მოდემი, კომპიუტერის მონიტორი და კავშირგაბმულობის ტექნიკის დეტალები.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ ქოქიაშვილი დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

როგორც შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ გიორგი კლიმიაშვილმა განაცხადა, გამოძიება მიმდინარეობს სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად).

როგორც კომპანია „სილქნეტის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსმა ზურაბ ჯორკოშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დამნაშავის ვინაობის დადგენა პოლიციას არ გასჭირვებია, რადგან სამუშაო ოთახში ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული. მოხდა კურიოზული შემთხვევაც, მძარცველმა ვიდეოკამერაც თან წაიღო, თუმცა ჩანაწერი ადგილზე დატოვა.

„დილის შვიდ საათზე დამლაგებელი მოდის ხოლმე, ის ხსნის შენობას და ოთახებს ალაგებს. ამ დღესაც ჩვეულებრივად გამოცხადდა სამსახურში და როდესაც ნახა, რომ კარი ღია და დაზიანებული იყო, მაშინვე მე დამირეკა. სამსახურის შენობასთან ძალიან ახლოს ვცხოვრობ და დილითვე მოვედი. ეს სურათი დამხვდა, წაღებული იყო ჩვენი ნივთები, მოდემები, კაბელები, მონიტორი, სხვადასხვა ინტერნეტ მოწყობილობები. რა თქმა უნდა, მაშინვე პოლიციას დავუკავშირდი და ადგილზე მოკვლევა დაიწყეს. უნდა ითქვას, რომ დამნაშავეც ოპერატიულად დააკავეს. ნაქურდალი ნივთები მაშინვე ამოიღეს, ამჟამად პოლიციაში ინახება და, ალბათ, საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ გადმოგვეცემა. საქმე იმაშია, რომ დამნაშავემ როცა ოთახში სათვალთვალო კამერა შენიშნა, ისიც მოგლიჯა და წაიღო, მაგრამ ჩანაწერი არ განადგურებულა და ქურდობის ამსახველი ვიდეო მასალა ჩვენთან დარჩა,“ - აღნიშნავს ჯორკოშვილი.

იურისტების განმარტებით, თეიმურაზ ქოქიაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც გამოძიებამ 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დააკვალიფიცირა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან ხუთ წლამდე. თუმცა, დაკავებულისთვის წარსულში ნასამართლეობა დამამძიმებელი გარემოებაა, რაც სასჯელის მაქსიმუმის გამოყენების წინაპირობაა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!

იწყება ახალი სასწავლო წელი. დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ნაწილი ახალ ცხოვრებას იწყებს, რომელიც ახალი ურთიერთობების, შეგრძნებების დასაწყისად იქცევა. უბედნიერესი ხანა, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია. გაგაცნობთ იმ ახალგაზრდების ერთ ნაწილს, ვინც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და შესაბამისი დაფინანსებაც მოიპოვა. წარმატებებს ვუსურვებთ მათ ცხოვრების საკმაოდ რთულ გზაზე!



სოფიო მენთეშაშვილი, ქეთი ჩაფიაშვილი, ქეთი ბერიძე, კარლი ყორიაშვილი
(თითოეულმა მათგანმა მიიღო 100%—იანი გრანტი)



წარმატებული პირველკურსელი
**რუსუდან ჯორკოშვილი....**
მედალოსანი, 70%—იანი გრანტის მფლობელი, მშვენიერი, კეთილშობილი და საამაყო შვილი .... მომავალი პიარ—მენეჯერი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პირველკურსელი **ლიკა ლოლაშვილი,** 70%-იანი დაფინანსებით



კიდევ ერთი უმშვენიერესი პირველკურსელი, მომავალი არქიტექტორი



**მარი ხუციშვილი**



პირველკურსელი, მომავალი ევროპათმცოდნე, არაჩვეულებრივად დადებითი აურის მქონე, ნიჭიერი, ერუდირებული,
რა თქმა უნდა მედალოსანი და რათქმაუნდა გრანტიანი,

**ქეთი შანშიაშვილი**



აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის წარმატებული პირველკურსელი, 70%—იანი გრანტის მფლობელი, მედალოსანი, ყოველმხრივ საუკეთესო ახალგაზრდა

**ნიკა ძმანაშვილი**



კავკასიის უნივერსიტეტის პირველკურსელი, ნიჭიერი, ერუდირებული, წარმატებული, კეთილშობილი, ჰაეროვანი, უმშვენიერესი, უსაყვარლესი

**ნატალი მაქარაშვილი**
ჩაირიცხა ევროპისმცოდნეობაზე, რათქმაუნდა სათანადო დაფინანსებით...



წარმატებული ახალგაზრდა
**გიგა ჯანჭარაშვილი**
—კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველკურსელი.
გიგამ 70%—იან გრანტთან ერთად უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებაც მიიღო წელიწადში 2 900 ლარის ოდენობით...
გიგას სტუდენტობა ფინანსდება 17 900 ლარით!!!!!!!!!



საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტი **ნათია ლატარია** (50% გრანტის მფლობელი).



საქართველოს უნივერსიტეტის პირველკურსელი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, უმშვენიერესი საქალბატონე **ანი ყანჩაშვილი**



მომავალი სამართალმცოდნე (50%—იანი დაფინანსებით) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი

**თინიკო ციცკარაული**

# „მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია"...



მინი დოსიე: ლია ხაჩიაშვილი დაიბადა 1966 წლის 13 მაისს. სწავლობდა წითელწყაროს N1 საშუალო სკოლაში, თითქმის ყველა საგანში საუკეთესო მოსწავლე იყო, ყველა საგანს თანაბრად და კარგად ითვისებდა. მისი პრიორიტეტი ქიმია და ინგლისური იყო, მუსიკაშიც საუკეთესო მოსწავლე გახლდათ, ამბობს, რომ პროფესიის არჩევაში რატომღაც ბებიამ ითამაშა გადამწყვეტი როლი და მისი რჩევით რვა კლასის დამთავრების შემდეგ, სიღნაღის სამუსიკო სასწავლებელში ჩააბარა. დედოფლისწყაროს მუსიკალურ სკოლაში მისი პედაგოგი ალა ცერცვაძე გახლდათ, ხოლო სიღნაღის მუსიკალურ სასწავლებელში მან თენგიზ ჩიტაიშვილის კლასი დაამთავრა, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენებს. ყველაგან აქტიური ახალგაზრდა იყო, როგორც სკოლაში, ასევე სამუსიკო სასწავლებელში ყველას დაამახსოვრა თავი სანიმუშო სწავლით. ყველა ღონისძიებაში უნდოდა ყოფილიყო ჩართული, ყველაზე დიდი ტექსტი მას უნდა ჰქონოდა და ყველაზე ბევრი როლი მას უნდა ეთამაშა. ასეთი იყო ბავშვობიდან, ასეთია დღემდე, ცდილობს, უფრო მეტი გააკეთოს, მეტად დაიხარჯოს და მეტი შრომა ჩადოს პედაგოგობაში, ვიდრე ევალება. სწორედ ეს ნიშა გახლავთ მისი წარმატების საფუძველი. ჰყავს მეუღლე, შსს სამინისტროს დამსახურებული პენსიონერი გოჩა ლომსაძე, შვილები სალომე და მარიამ ლომსაძეები. სალომე საქართველოს ბანკში მუაშობს, ხოლო მარიამმა სამედიცინო დაამთავრა და უკვე მუშაობს.

მიუხედავად ცხოვრების მუდმივი სირთულეებისა, მიმაჩნია, რომ ცხოვრება მშვენიერია და ამ განწყობით მეღვიძება, დილას ვივალდის მშვენიერი ნაწარმოების „ოთხივე სეზონის" მუსიკის ჰანგების მოსმენით ვიწყებ და სწრაფი მოძრაობით უამრავი საქმის ხელის შევლების შემდეგ, სამსახურში წამოსვლის სამზადისს ვიწყებ. მოვდივარ გზაზე და გული არ მომიწევს წამოსასვლელად, იქ მინდა დავრჩე, სადაც ზაფხულის არდადეგების გამო ყველა სახლშია, ისვენებენ, ერთობიან, იცინიან, მუსიკის ჰანგებს უსმენენ და ყავის სმასთან ერთად, ერთმანეთში მასლაათობენ. მე კი იძულებული ვარ, ეს თავისუფალი და ლაღი სამყარო დავთმო, კარი გამოვიხურო და გზას გამოვუყვე, გზას, რომელსაც დილიდანვე უკვე ცეცხლის ალმური ასდის. ხალისს მხოლოდ სახლიდან გამოყოლილი ვივალდის მუსიკა და იქაური გარემო მაძლევს და ეს მიბიძგებს წინ ვიარო.

ერთხანს მუსიკის არსზე ჩავფიქრდები და სურვილი მიჩნდება, მუსიკოს ადამიანს შევხვდე. ინტერვიუს ჩასაწერად მუსიკის პედაგოგს , ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ ლია ხაჩიაშვილს ვარჩევ და მივდივარ. ლია ხაჩიაშვილი 25 წელია ემსახურება მუსიკას, არის არაერთი საღამოსა და კონცერტის ორგანიზატორი, რისთვისაც მხოლოდ მსოფლიო ბანის ლადო ათანელის მოწვევის ორგანიზების დასახელება კმარა. ქალბატონ ლიაზე ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: აქტიური, მუდამ ენერგიული, მუსიკისათვის დაბადებული ქალბატონი, რომლისთვისაც საქმისადმი უზადო სიყვარული, ერთგულება, თავმდაბლობა, ადამიანებთან ურთიერთობა და გულით მსახურება ყველაფერია. მასთან შეხვედრის შემდეგ ჩემი მისდამი დამოკიდებულება არ შეცვლილა. აი, როგორი ინტერვიუ შედგა ჩვენს შორის:

**- ქალბატონო ლია, როგორ მოგონებად დარჩა თქვენთვის სკოლის და სტუდენტობის წლები?**

-ბავშვობიდან აქტიური მოსწავლე ვიყავი, მიყვარდა როგორც საგნების სწავლა, ასევე ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. იმდენად აქტიური ვიყავი, რომ ყველაზე ვრცელი ტექსტი, ყველაზე მეტი სცენაზე გამოსვლა მე უნდა მრგებოდა წილად. მუსიკალურ სასწავლებელშიც ხშირად ვდგავდით სპექტაკლებს, სადაც მთავარი როლი მუდამ მე მეკუთვნოდა. მახსენდება, ერთხელ „რომეო და ჯულიეტა" დავდგით, მე ჯულიეტას როლში ვიყავი, შემდეგ პედაგოგები ამბობდნენ, რომ ეს სპექტაკლი სპეციალურად ჩემთვის დაიდგა, რადგან ძალიან მამსგავსებდნენ თავად ამ როლის(ჯულიეტას) შემსრულებელ მსახიობს, მაშინ შავი გრძელი თმა მქონდა და რომ გავიშლიდი ხოლმე, ძალიან მოვწონდი ყველას. სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა წილად. მერე მოხდა ისე, რომ ჩემი წარმატებულობიდან გამომდინარე, კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ვემზადებოდი, ვაბარებდი ვორონეჟში და ასტრახანშიც მქონდა შეტანილი საბუთები, თუმცა, მაშინდელი მასშტაბური პოლიტიკური არეულობის გამო, ვითარება შეიცვალა და იქ ჩასულებს სხვა მოთხოვნები წამოგვიყენეს, პრობლემა ქართულ გვარში დაინახეს და ამ ნიშნით გამოცდაზე დაშვების უფლება არ მომცეს. თან ჩემი მშობლები და ჩემი პედაგოგი მახლდნენ, უკან დავბრუნდით, სხვა რა გზა გვქონდა. მელე ოჯახი შევქმენი და ჩემი კონსერვატორიის ფიქრებიც შორს დარჩა. შესანიშნავი ოჯახი მყავს და ამით ბედნიერი ვარ.

**-ჰიუგო ამბობდა „მუსიკა იმას გამოხატავს, რაც არ ითქმება, მაგრამ რის გამოც დუმილი შეუძლებელიაო",- თქვენს სულში რა ემოციას იწვევს მუსიკა და რამდენად გასაზრდოვებთ იგი?**

-საწყისიდან გამომდინარე, მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, იმდენად შევეთვისე, რომ მის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია, ხშირად არის ხოლმე ისე, რომ ვუსმენ კლასიკას და მე იმ დროს ისე შევიგრძნობ მუსიკას, ისე მივდივარ მის სიღრმეებში, რომ ვერც ვგრძნობ... ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი ზეგავლენა იქონია თენგიზ ჩიტაიშვილმა, მან გასაქანი მისცა ჩემს მუსიკალურობას და ბევრი არხი გახსნა, მუსიკალური კულტურისა თუ შესრულების მანერის განვითარების მხრივ. იგი ჟანრობრივად ისეთ მუსიკას მირჩევდა, ჩემს ხასიათში რომ ჯდებოდა, თითქმის ამ კუთხით მივდივარ დღესაც, რომელიც გამორჩეულია სხვების სტილისგან. ხომ გესმით, მე სხვა ჟანრს ვანიჭებ უპირატესობას, მიყვარს, მაგალითად გერშვინი, შედრინი, რაველი, რომელიც არ არის ბოლომდე კლასიკა, მაგრამ არის მელოდიური და ჯაზური სტილი, რაც ძალიან მხიბლავს. ცხადია გვერდს ვერ ავუქცევ კლასიკას, შეუდარებელია ბეთხოვენი, ჰაიდნი, მოცარტი, მაგრამ შედრინს და რაველს აქვთ ის განხრები, რომ შესრულების მანერაში თავისუფლებას გაძლევს. თავისუფალი შესრულების მანერა, აი, ეს არის ჩემი სტილი. ასეთი იყო ჩემი პედაგოგი, რომელიც ჩემს ხასიათში ამ სტილს არგებდა და ტიპობრივად ასე ჩამოვყალიბდი კიდეც. ჩემი საყვარელი კომპოზიტორები მიტოვებენ შესაძლებლობას, ვითამაშო და შევასრულო ისე, როგორც ჩემს განწყობას სურს და ესაა ჩემთვის ბედნიერება.

**-რა პირობები აქვს შექმნილი დღევანდელ რეალობაში მუსიკოსს და როგორზე იოცნებებდით?**

-მუსიკოსის შრომა არ არის მხოლოდ ფიზიკური და გონებრივი შრომა, იქ კიდევ სხვა უამრავი ფაქტორია, რასაც დებს მუსიკოსი მოსწავლეში. მუსიკოსმა მუშაობაში მთელი გული და სული უნდა ჩადოს, რასაც ემატება კონცერტები, რეპეტიციები, ცხადია, ხელოვანის ბედი მძიმეა, ამის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ გაწეული შრომის საფასურად იმის მესამედს ვიღებთ, რასაც ვმუშაობთ, მაგრამ რა შედარებაა იმასთან, რაც იყო, ჩვენ გვქონდა წლები, როდესაც 8 ლარს ვიღებდით ხელფასს და ყველაზე მაღალი ხელფასი 15 ლარი იყო. მაგრამ ჩვენმა პედაგოგიურმა კოლექტივმა ყველაფერს გაუძლო, ყველა საუკეთესო კოლეგა და თანამშრომელია, ყველამ ჩვენს მხრებზე გადავიტანეთ ის ტვირთი, რასაც მძიმე პირობებში ენთუზიაზმზე მუშაობა ჰქვია. ეს გავაკეთეთ იმისთვის, რომ რაიონს სკოლა შეენარჩუნებინა. საქმის სიყვარული და პედაგოგიური პასუხისმგებლობა უფლებას არ გვაძლევდა, მიგვეტოვებინა ჩვენი საყვარელი საქმე და ასე მოვედით დღევანდლამდე. დღეს ეს პრობლემა აღარაა, დღეს ჩვენი დირექტორი ქალბატონი მარიამ კიკილაშვილი იბრძვის იმისთვის, რომ ნიჭიერ ბავშვებს მეტი შესაძლებლობა მისცეს და მუსიკალური განათლება არ დამთავრდეს მხოლოდ ექვსი წლის დახურვით. მას სურს, რომ ეს სკოლა მუსიკალურ ათწლედად გადაკეთდეს, რასაც ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილი ნება სჭირდება. ვნახოთ, რა იქნება, მომავალი წინაა. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის გახლავთ, რომ ჩვენი მუსიკალური სკოლა ექვსწლიანი განათლების დონეზე არ უნდა დარჩეს, ჩვენ მეტი შეგვიძლია, მეტ პოტენციალს ვფლობთ, გინდაც პედაგოგების, გინდაც ნიჭიერი თაობების აღზრდის მხრივ. გულდასაწყვეტია, როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სწორედ მაშინ წყდება ურთიერთობა, როცა უკვე ფეხზე დააყენე მოსწავლე, აღზარდე და როცა გსურს, რომ მასში ჩადო შენი შემოქმედებითობა, სწორედ იქ მთავრდება მისი მუსიკასთან შეხება. ეს რაიონის ავტორიტეტისთვისაა საჭირო, რაიონს უნდა აწუხებდეს, უნდა სჭირდებოდეს ასეთი ახალგაზრდები. მინდა ხმამაღლა ვთქვა, რომ დონით ჩვენი სკოლა ბევრად სჯობია სხვა სკოლებს, ძალიან ბევრი ძლიერი მოსწავლე გამოვზარდეთ, რომლითაც იამაყებდა რაიონი, მაგრამ მათ არ მიეცათ ადგილზე მუსიკასთან სიახლოვის და მეცადინეობის გაგრძელების შესაძლებლობა და ასე დაიკარგნენ ისინი მუსიკისთვის.

**-ეთანხმებით თუ არა გამონათქვამს,-„მშვენიერებასაც უწერია სიკვდილი"?**

-არა, არ ვეთანხმები, რადგან მშვენიერება უკვდავია, მუსიკაც უკვდავია, არაფერი არ კვდება, სამოთხეშიც კი გალობაა, გინდაც გარდავიცვალო, იქ უკეთესი გალობაა, განა „წმინდაო ღმერთო" მთავარანგელოზებმა არ გვასწავლეს?!

**-თქვენ ძალიან მორწმუნე ადამიანი ხართ, თითქმის არცერთ საქმეს, არცერთ კონცერტს არ აკეთებთ მამაოს კურთხევის გარეშე, ხართ მედავითნე, მინდა გკითხოთ, როგორ წარმოგიდგენიათ მეორედ მოსვლა, თქვენ თვალწინ რა სურათი იშლება?**

-არცერთი სიტყვა არ წახდება, ყველა სიტყვა ზედმიწევნით ახდება, როგორც წერია ბიბლიაში, ყველაფერი ზედმიწევნით ახდება და ჩვენც ისე შევალთ, სიხარულით და დღესასწაულით. უბრალოდ ბევრი აღსარებით და ზიარებით უნდა განვიწმინდოთ და გზა აუცილებლად ხსნილი იქნება. იმ დროს აქ ისეთი გაჭირვება, ისეთი სიდუხჭირე იქნება, რომ სიხარულით წავალთ, იქ უკეთესი ცხოვრება იქნება.

**-მუსიკაში არსებობს „პიანო", „ფორტე" , „სოპრანო", „მეცოსოპრანო" , რომელთა ზედმიწევნით შესრულება ნაწარმოებს სხვა ხიბლს სძენს, იქნებ გადმოსცეთ, თქვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი „პიანო" და ყველაზე დიდი „ფორტე"?**

-„ფორტეთი" დავიწყებ, ჩემი ყველაზე დიდი ფორტე ჩემი შვილების დაბადება იყო, სალომეს, მერე მარიამის დაბადება. სად ვიგრძენი თავი „პიანოში"? - ჩემი „პიანო" იყო, როცა ჩემი მშობლები დავკარგე, ყველაზე დიდი „პიანო" ჩემს ცხოვრებაში მაშინ ჩამოწვა. ეს იყო დიდი პაუზა, დიდი ვაკუუმი, საშინელი სიჩუმე ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ვერაფერი განკურნავს, მაგრამ ეს დაშორება დროებითია, შევხვდებით ისევ.

**- კლასიკური მუსიკა რომ ყველაზე მაღალხარისხიანი მუსიკაა, ამაში ვერავინ შეგვედავება, თუმცა, დღეს ელექტრონულ მუსიკას მიაქვს სამყარო და კლასიკური მუსიკის მსმენელის დეფიციტი შეიქმნა, ამის გამო მუსიკალურ სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტმა იკლო, მშობლები აღარ ცდილობენ თავის შვილებს მუსიკალური განათლება მისცენ, არადა ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი მუსიკალური გემოვნების და არა მარტო ამის ჩამოსაყალიბებლად, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია, რომ დღეს კლასიკურ მუსიკას იმდენად აღარ აფასებენ?**

-მე მაინც მგონია, რომ ეს დემოგრაფიული პრობლემის საკითხია, ფიზიკურად ბავშვები აღარ არიან, სკოლაში ადრე კლასში 30 ბავშვი რომ იყო, ახლა 14 და 15 -ნი არიან, ქალაქში წავიდა მოსახლეობის უმეტესობა და ამიტომაც მოხდა ასე, რომ მუსიკალურ სკოლაშიც ბავშვთა რაოდენობა შემცირდა.

**- არაერთი საღამო მახსენდება თქვენი ორგანიზატორობით ჩატარებული, ბოლოს გავიხსენებ ლადო ათანელის მოწვევას თქვენს სცენაზე. იქნებ ორიოდე სიტყვა თქვათ ამ საკითხზე?**

- ჩემი ორგანიზებით ფართო საზოგადოებისთვის ჩატარდა მოცარტის, ბახის, ბეთხოვენის საღამოები, მათ შორის ყველაზე დიდებული გამოვიდა ლადოსთან ჩვენი მაყურებლის შეხვედრა, დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლით, ისე, რომ ადგილები არ იყო და ხალხი უკან გაბრუნდა. ლადოს საღამოს დასასრულს ჩემმა მოძღვარმა მამა ნიკოლოზმა მითხრა: ეს იყო მთელი შენი შემოქმედებითი საღამოების პიკიო, - ეს სიტყვები ჩემთვის ყველაზე მეტს ნიშნავდა. ჩატარებული მაქვს უამრავი ინდივიდუალური კლასის კონცერტი, წლის დამამთავრებელი ღია კონცერტები. ხშირად რამდენიმე პედაგოგი გავერთიანდებით და ვაკეთებთ ხოლმე ერთობლივ კონცერტებს, რომელიც ასევე წარმატებული გამოდის. გულისტკენაც მინდა გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს საზოგადოებაში მაინც ნაკლებია ინტერესი კლასიკური და ცოცხალი მუსიკის მოსმენის მხრივ, რადგან არის შემთხვევები, როდესაც კონცერტებზე ცოტა მაყურებელი მოდის. არადა, როცა კონცერტს ვგეგმავთ, მოსაწვევებს რაიონის თითქმის ყველა ორგანიზაციას ვუგზავნით. თუმცა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მსმენელი ყოველთვის იმაზე ცოტაა, ვიდრე ჩვენ ველით, რაც ცოტა არ იყოს საწყენია.

(გაგრძელება გვ.7)

# 11 სექტემბერი – თავის კვეთა იოანე ნათლისმცემლისა

მოახლოებულიყო ჟამი მესიის განკაცებისა, რადგან სამყაროს თავისი დაცემის უკიდურეს ზღვრამდე მიეღწია. წინასწარმეტყველების თანახმად კი, სწორედ ამ დროს უნდა შობილიყო მხსნელი, ზეცისკენ რომ წარუძღვებოდა დაცემულ კაცობრიობას. მაგრამ მანამდე, კვლავ წინასწარმეტყველების თანახმად, უნდა დაბადებულიყო ის, ვინც განამზადებდა კაცთა გულებს მაცხოვრის მისაღებად.

...და იშვა იოანე ნათლისმცემელი.

იოანეს შობიდან გავიდა რამდენიმე თვე და უსჯულო ჰეროდემ, იესო ქრისტეს მოკვლის მიზნით, ბეთლემში ყველა ორ წლამდე ასაკის ვაჟის ამოწყვეტა ბრძანა. 14 000 ყრმა მოისრა იმ დღეს ბეთლემში და 14 000 უბიწო სული ქრისტესთვის წამებულთა პირველ დასად იქცა. ზაქარიამ, იოანე ნათლისმცემლის მამამ, ცოლ-შვილი უდაბნოში გახიზნა, თავად კი იერუსალიმში დარჩა მღვდელმთავრის მოვალეობის აღსასრულებლად. იგი ჰეროდეს მეომრებმა საკურთხეველს დააკლეს იმის გამო, რომ არ გაამხილა გახიზნული შვილის ადგილ-სამყოფელი. ელისაბედი და იოანე კი უდაბნოში დარჩნენ. ელისაბედი იქვე აღესრულა, ანგელოზისაგან დაცული "ყრმაი იგი აღორძინდებოდა და განმტკიცდებოდა სულითა. და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებადმდე მისა ისრაელის მიმართ"(ლუკა, 1, 80); იკვებებოდა თაფლითა და მკალით, "ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაი წელთა მისთა" (მათე, 3, 4).

გამოეცხადა ისრაელს, რათა ექადაგა ნათლისღება სინანულისა, ცათა სასუფევლის მოახლოება და ნათელ-ეცა თავად განკაცებული მაცხოვრისათვის. ქადაგებდა, სინანულით განეწმინდათ გზანი უფლისათვის, მონანულთ ნათელ-სცემდა იორდანეს წყლით, ხოლო ფარისეველთ და ღვთის მებრძოლთ ამხელდა: "ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლვაი მერმისა მისგან რისხვისა?" (მათე, 3, 7)



წინასწარმეტყველების მიხედვით, იოანე ნათლისმცემელს ისევე უნდა ეუწყებინა უფლის მოსვლა ჯოჯოხეთში მყოფ მიცვალებულთა სულებისათვის, როგორც აუწყა დედამიწაზე მყოფთ. ამიტომაც მოახლოებულიყო მისი მოწამებრივი აღსასრული.

ჰეროდე დიდის გარდაცვალების შემდეგ (რომელმაც 14 000 ბეთლემელი ყრმა ამოწყვიტა), რომაელებმა პალესტინა 4 ნაწილად დაყვეს და თითოეულს ცალკე მმართველი დაუნიშნეს. ჰეროდეს შუათანა ვაჟს, ჰეროდე ანტიპას, გალილეა ერგო. მან გააძევა უფროსი ძმა, ფილიპე, გვარის მამამთავარი გახდა და ძმას, ტიტულთან ერთად, ცოლიც წაჰგვარა - საკუთარი ცოლი, არაბეთის მეფის ასული, გააგდო და რძალი, ჰეროდიადა, გაადედოფლა. ამგვარი ქორწინების უფლება მეფეს მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუკი ქალი ქვრივი და უშვილო იქნებოდა, მაგრამ ჰეროდიადას კანონიერი ქმარიც, ფილიპეც, ცოცხალი იყო და მისგან შვილიც ჰყავდა - მშვენიერი სალომეა. ასე რომ, ჰეროდემ საშინელი ცოდვა ჩაიდინა და იოანე ნათლისმცემელმაც ყველას წინაშე ამხილა იგი. მეფემ მისი შეპყრობა ბრძანა, მაგრამ არ მოაკვლევინა, რადგან მართალ და წმიდა კაცად თვლიდა, თანაც, ხალხის ამბოხისა ეშინოდა.

იბარებდა ხოლმე პყრობილს, ესაუბრებოდა და, მისგან შთაგონებული, მრავალ სიკეთესაც აღასრულებდა.

ჰეროდიადა კი მრისხანებდა და იოანეს მოკვდინება სურდა, მაგამ ვერ ახერხებდა, რადგან თავად ჰეროდე იცავდა იოანეს. დადგა ჰეროდეს დაბადების დღეც. მოიწვიეს გალილეის ყველა წარჩინებული უხუცესი და ოლქის მმართველი. დიდებული ნადიმი გაიმართა. ბოლოს სალომეამ იცეკვა და აღფრთოვანებულმა მამინაცვალმა გერს ყველაფრის მიცემა აღუთქვა, რასაც კი მოისურვებდა.

დედისაგან წინასწარ დარიგებულმა სალომეამ წმ. იოანეს თავი მოითხოვა. ჰეროდე შეწუხდა, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა გამო პირობა ველარ გატეხა და ბრძანებაც გასცა - წმ. იოანეს გვიან ღამით საპყრობილეში თავი მოჰკვეთეს.

ბინძური სერი ჯერ ისევ გრძელდებოდა, როდესაც გამომთვრალ სტუმრებთან ლანგრით წმ. იოანეს ჯერ ისევ სისხლმდინარე თავი შეიტანეს. როგორც ზოგიერთები გვამცნობენ, მოკვეთილმა თავმა კვლავ ჰეროდეს მამხილებელი სიტყვები წარმოთქვა: "არა ჯერ არს შენდა, ვითარმედ ცოლად გესუა ძმის ცოლი შენი". ყველა შიშმა შეიპყრო, სალომეამ კი თავი ლანგრით დედას მიართვა.

ჰეროდიადამ სიცილით წმიდა თავს ჯერ ენა დაუჩხვლიტა ქინძისთავით, ხოლო შემდეგ უწმინდურ ადგილას ჩაფლა.

წამებულის სხეული მოწაფეებმა ცალკე დაფლეს, ხოლო თავი სასახლის სახლთუხუცესის ცოლმა, ჰუზიმ, მალულად ამოთხარა, ჭურჭელში ჩადო და ელეონის მთაზე დაკრძალა. ღვთის რისხვამ არ დააყოვნა: ერთხელ, ზამთარში, სალომეა მდინარეზე გადადიოდა, ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდა და ჩავარდა ისე, რომ ტანი ყინულქვეშ, წყალში ჩაეკიდა, თავი კი ყინულს ზემოთ დარჩა. კვლავ "ცეკვავდა" სალომეა, რომ ფეხი როგორმე ფსკერისათვის მიეწვდინა, მაგრამ ვერ შეძლო. მანამდე ფართხალებდა, ვიდრე ყინულის ბასრმა პირმა ყელი არ გადაუჭრა. მისი თავიც ისევე მიართვეს ჰეროდიადას, როგორც ოდესღაც წმ. იოანე ნათლისმცემლის თავი.

არაბეთის მეფემ საკუთარი შვილის შეურაცხყოფა არ აპატია ჰეროდეს, მის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა. განრისხებულმა იმპერატორმა ჰეროდე ცოლთან ერთად ესპანეთში გადაასახლა, სადაც ისინი ცოცხლად შთანთქა მიწამ.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავი სამგზის სასწაულებრივად იპოვეს. ბოლოს კონსტანტინოპოლის კარის ეკლესიაში დააბრძანეს.

11 სექტემბერი მძიმე მარხვის დღეა.

# „მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია"...

(მეექვსე გვერდიდან)

**- ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენი შემოქმედებითი საქმიანობის რომელიმე შტრიხს, რაც კარგად გახსენდებათ?**

- მახსენდება სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში მოღვაწეობის ხუთი წელი, რომელიც ძალიან ლამაზ მოგონებად დარჩა ჩემს ცხოვრებაში, იქ მე ჩემი ენთუზიაზმით და შემოქმედებითი უნარით ჩავერთე. სკოლაში მიმყავდა მუსიკის გაკვეთილები, ვიყავი კათედრის გამგე და ჩემს დაქვემდებარებაში შედიოდა საგნები: მუსიკა, სპორტი, ხატვა და ხელოვნება. მახსენდება ის სიცოცხლით სავსე დღეები, როდესაც იქ ღონისძიებებს ვაკეთებდით, ჩემი ორგანიზატორობით ჩატარდა მხიარული სტარტები, მსგავსი რამ მაშინ რეგიონებში არ იყო გაკეთებული და ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაყურებლებიც და მონაწილეებიც. სამრეკლოელები დღემდე ლამაზად იხსენებენ ამ დღეს. დღეს, რა თქმა უნდა, კმაყოფილებით ვიხსენებ ცხოვრების იმ ფურცლებს, რადგან მახარებს ის, რომ ჩემს ფანტაზიას და ენერგიას დასასრული არ უჩანს და ამ ყველაფერს ჩემი სოფლის და ჩემი ხალხისთვის ენთუზიაზმით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვაკეთებდი.

**- ნათქვამია „არც ხელოვნება არსებობს ვარჯიშის გარეშე და არც ვარჯიში ხელოვნების გარეშე," რას ფიქრობთ ამ გამონათქვამზე?**

- ეს მართალია, ჩვენს სფეროში თუ არ ივარჯიშა თითებმა და გონებამ, ისე არაფერი გამოვა, ამასთან, აუცილებელია პედაგოგმა ჩადოს დიდი შრომა, რა შემსრულებელიც ხარ შენ, როგორც პედაგოგი, შენი მოსწავლეც იმ შედეგს იძლევა, ყველაფერს ექცევა ყურადღება, შრომა უნდა ჩაიდოს შესრულების მანერაში, ბგერაში, რითმაში. პირადად ასე ვმუშაობ, აუცილებლად ვერგები მოსწავლეს თავის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვცდილობ, მას მოვაწონო და მოვარგო ნაწარმოები...

**- მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება, როგორი ენთუზიაზმით ხვდებით ახალ სასწავლო წელს?**

- ბოლო სამი წელი გამორჩეული იყო და განსაკუთრებული იმითაც, რომ დავნერგეთ ექსკურსიები კურსდამთავრებულებისთვის, ჩემი მოსწავლეები სხვადასხვა დროს წავიყვანე თბილისში და ვაჩვენე სპექტაკლი „მაკნატუნა"ნინო ანანიაშვილის მონაწილეობით, ასევე ვიყავით მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ვნახეთ „ტიობელე და მისი დემონები", თუმანიშვილის თეატრში ვნახეთ „ჩიტის მოტანილი ამბავი", დავათვალიერეთ ეროვნული მუზეუმის საგანძური. ბავშვებმა ნახეს მუზეუმი, სადაც სრულადაა გამოფენილი ქართული ხალხური და ეროვნული საკრავები. ზღვა ხალხი გაგვიპია და მოგვილოცია წმინდა ადგილები, კერძოდ მახათას მთა მოვილოცეთ, ამ ყველაფერში გვერდში დამიდგა ჩვენი ხელმძღვანელი ქალბატონი მარიამი, მომავალში როდესაც ოპერა ოფიციალურად გაიხსნება, მოწვევა გვაქვს ლადო ათანელისგან, ის შეგვპირდა, რომ ოპერის გახსნაზე მოგვიწვევდა. მოკლედ, ყველანაირად ვცდილობ, ენერგია არ დავიშურო და ჩემს ბავშვებს შევუქმნა ის პირობები, რომ ეზიარონ კულტურას და არ იყოს მათთის უცხო ხილი მაღალი კლასის ხელოვნებასთან ზიარება, რასაც ოპერა, თეატრი და ბალეტი ჰქვია. რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს, გეგმები დიდი გვაქვს, ქალბატონ მარიამ კიკილაშვილთან ერთად გათვლილი გვაქვს წინამდებარე ახალი სასწავლო წლის კონცერტების ნუსხა, რასაც სრულად პედსაბჭოს ჩატარების დროს გავაცნობთ ჩვენს კოლექტივს. ამასთან ერთად, ქალბატონი მარიამი გამუდმებით ეძებს საერთაშორისო კონკურსებს, ფესტივალებს, სადაც შესაძლებელი იქნება ჩვენი მოსწავლეების წარდგენა. მოგეხსენებათ, გასული სასწავლო წელი ჩვენი სკოლისთვის ძალიან წარმატებული წელი გახლდათ. რამეთუ, ჩვენი სკოლა თუ ვალერიან შიუკაშვილის კონკურსამდე საერთოდ გავიდოდა, ოცნებაც გვიჭირდა, თუმცა გავბედეთ, ვცადეთ და არათუ გავიმარჯვეთ, არამედ მალვინა ისმაილოვას მიერ შესრულებულ ნაწარმოებზე თავად შიუკაშვილი ადგა ფეხზე, ტაში დაუკრა და თითი გამოიშვირა, -„აი, ეს გახლავთ სწორი მუსიკალური ხედვა, ეს გახლავთ სწორი მუსიკალური აღზრდა. მიბაძეთ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლას",-ცხადია ეს იყო ჩვენი დიდი გამარჯვება და წარმატების საწინდარი. მჯერა, მომავალშიც ასეთივე წინსვლით განვაგრძობთ სვლას.

ვათვალიერებ ქალბატონი ლიას მაგიდაზე თავისი მოსწავლეების კონკურსებში აღებულ სიგელებს და მადლობების წერილებს და ვხვდები, რომ მოღვაწეობის 25 წელი ამად ნამდვილად ღირდა. წარმატებები მინდა გისურვოთ ქალბატონო ლია.



ლალი მეხრიშვილი

# სახალისო ფეხბურთის ღია გაკვეთილი



2003 წლიდან საქართველოში წარმატებულად ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის (ჩჩ§A) პროექტი "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები (ჭფღშ)".

პროგრამა წარმოადგენს პოლიტიკურად დამოუკიდებელ, არაკომერციულ, ჰუმანიტარულ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას, თანამშრომლობას და სოციალურ ინტეგრაციას.

სხვადასხვა ეროვნების ბავშვების დაახლოვება და მასობრივი ფეხბურთის განვითარება "სპორტი ყველასათვის" პრინციპებზე დაყრდნობით, პროექტის პრიორიტეტული მიმართულებებია.

7, 8 და 9 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში, წარმატებით განხორციელდა "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის" გაკვეთილები. პროექტის ორგანიზატორია მუნიციპალიტეტის სპორტისა და



ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი. მასში "ქედების ზონის" 200-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ბავშვებს ავარჯიშებდნენ მწვრთნელები, რომელთაც ტრენინგები წინასწარ გაიარეს ქ.ბათუმში. პროექტში მწვრთნელის ასისტენტის სტატუსით 7 პრობაციონერი იყო ჩართული.

3 დღის მანძილზე ბავშვები, 12 კვადრატად დაყოფილ მოედანზე სხვადასხვა სახის სპორტული თამაშებით იყვნენ დაკავებული და ამასთანავე, ერთჯერადი კვებით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

შეჯიბრის დასასრულ გაიმართა ბონი-ბონის თასის გათამაშება. ვაჟებში პირველი ადგილი დაიკავეს არხილოსკალოელმა ფეხბურთელებმა, რომელთაც სძლიეს ქემო ქედის გუნდს ანგარიშით 2:0. ასეთივე წარმატებით იასპარეზეს არხილოელმა ფეხბურთელმა გოგონებმა და დაამარცხეს სოფ. ფიროსმანის გუნდი 1:0.

აღსანიშნავია, რომ OFFS დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უკვე მეორედ ჩატარდა. მომავალი წლისთვის პროექტის განხორციელება "მაჩხაანის ზონის" სოფლებისთვისაა დაგეგმილი.

## ულოცავენ!

### მანანა ჭილიტაშვილს!

არბოშიკის საჯარო სკოლის პერკოლექტივი სკოლის დირექტორს, ქალბატონ მანანა ჭილიტაშვილს ულოცავს დაბადების დღეს, 15 სექტემბერს.

ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობას, შვილიშვილთა სიმრავლეს.

არბოშიკთა საჯარო სკოლის პედკოლექტივი

### მარინე ჯამასაიშვილ-თარაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი ვულოცავთ შვილიშვილის გაბრიელის დაბადებას!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ღვთის წყალობას და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას.

### ხათუნა ხარაშვილს!

### ვანო მანჯაფარაშვილს!

გილოცავთ ოჯახის შექმნას, გისურვებთ მთელი ცხოვრება ასე ბედნიერად გაგევლოთ, როგორც დღეს ხართ, სითბო, სიტკბო, მხიარულება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი!

გამრავლდით და გაიხარეთ!

სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს „სერვის ცენტრის" თანამშრომლები

### ზურაბ ფიროსმანაშვილს!

### ირინა წიკლაურს!

ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ ქორწინებას თქვენც და განსაკუთრებით კი მარინა ფიროსმანაშვილს, ზურიკოს ბებიას, რომელიც ძალიან გახარებულია თქვენი ბედნიერებით. ახალდაქორწინებულებს გისურვებთ ღირსეული ქართული ოჯახის შექმნას და აკვანთა სიმრავლეს!

**საქპრესის თანამშრომლები:** მაია ჯანიაშვილი, მაყვალა მანგოშვილი, ლელა ყოჩიაშვილი, ნაირა გომელაური.

### თეა და ზაზა ქავთარაძეებს

გილოცავთ პირველი შვილიშვილის, პირველი უდიდესი სიხარულის, პატარა მარიამის დაბადებას. გისურვებთ, ბედნიერი პაპა-ბებია ყოფილიყავით!

ჯანმრთელობა და სიხარული დაებედოს პატარა მარიამს, ბედნიერ საქართველოში სასახელო შვილად გაზრდილიყოს!

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის" თანამშრომლები.

## ყურადღება!

2015 წლის 28 ოქტომბერს 14 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში , რუსთაველის ქუჩაზე, საწარმოს ტერიტორიაზე (ოფისი), გაიმართება შპს „ენერგია XXI"-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის- კირქვის ნედლეულიდან კირის მიღების ქარხნის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს კირის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

-ქალაქი დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა (საწარმოს ტერიტორიაზე, ოფისში).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: გიორგი ქოიავა 599 54 54 59.

ადმინისტრაცია, შპს „ენერგია XXI".


## ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.


## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

### დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული კერძო სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2015-2016 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

- მედდის საქმე;
- სამეანო საქმე;
- ფარმაცია;
- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- სამართალმცოდნეობა;
- უცხო ენა;
- დაწყებითი განათლება;
- ბიზნესის მენეჯმენტი;
- ფინანსები და ეკონომიკა (საბუღალტრო);
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
- ჟურნალისტიკა;
- ვეტერინარია;

სწავლა ფასიანია. სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

ჩარიცხვა გასაუბრებით!

საბუთების მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი.

**მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №32 (დედოფლისწყაროს არქივის შენობა, მეორე სართული).

**საკონტაქტო**
0356 22 52 73; 599 74 73 98; 555 200 435.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 14.09 | | სამშაბათი 15.09 | | ოთხშაბათი 16.09 | | ხუთშაბათი 17.09 | | პარასკევი 18.09 | | შაბათი 19.09 | | კვირა 20.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 19 ° | 18 ° | 21 ° | 20 ° | 21 ° | 18 ° | 18 ° | 18 ° | 18 ° | 16 ° | 17 ° | 16 ° | 17 ° | 16 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.